პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 215 (4209)

1970 წ. 1 ნოემბერი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

СПАРТАКИАДА V НАРОДОВ СССР

## მედლის ორი მხარე

ფაქტია: კრივი ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი სახეობაა. ამ მოსაზრებას ერთსულოვნად იზიარებენ სპეციალისტები, სპორტსმენები და გულშემატკივრები. იზიარებენ და გაოცებას ვერ მალავენ. რაღაც უცბად გაფლანგეს ჩვენმა მოკრივეებმა ის მდიდარი ტრადიციები, რომლებიც სპორტის ამ სახეობას მათმა წინამორბედებმა დაუმკვიდრეს. დროდადრო სპორტული საზოგადოებრიობა გულისტკივილით აღნიშნავს ამ სამწუხარო ფაქტს. პრესაში გამოქვეყნებულ თითო-ოროლა წერილში გაისმის გაუბედავი მოწოდებები კრივის აღორძინებისთვის, შემდეგ კი ყველაფერი მივიწყებას ეძლევა. ეტყობა, კრივის მესვეურებმა და თავად სპორტსმენებმა მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ჩათვალეს, ან უფრო უარესი — კრივის შემდგომ განვითარებაზე საერთოდ ხელი ჩაიქნიეს. ორივე შემთხვევაში საქმე მართლაც რომ საგანგაშოა.

ჩვენ შეგვეძლო კრივის მოყვარულებისთვის შეგვეხსენებინა და გაგვეხსენებინა ისინი ტყავის ხელთათმნის ადრინდელი ოსტატების წარმატებებით, მაგრამ ვფიქრობთ, ეს საჭირო არ არის. კრივი იმდენად პოპულარულია ჩვენში, რომ თითოეულ გულშემატკივარს ცხადად ახსოვს გარდასულ დღეთა წარმატებები. თანაც, „მას ნუღარ ვტირით, რაც დაკარგულა“...

საწყენი კია. ერთი მხრივ ასეთი დიდი სიყვარული ხალხისა კრივისადმი და ასეთი დიდი ჩამორჩენა სპორტის ამ სახეობაში. დაუკვირდით, რაზე ლაპარაკობენ ქართველი გულშემატკივრები, როცა სიტყვა კრივზე ჩამოვარდება. ყველაფერზე, რაც სპორტის ამ სახეობას შეეხება — დაწყებული კრივის საბჭოთა და უცხოელი დიდოსტატების გამოსვლებიდან, დამთავრებული კლეი-ქვორის ამასწინანდელი მატჩით. ამ საუბარში არასოდეს ახსენებენ კრივის დღევანდელ ქართველ ოსტატებს და სავსებით სამართლიანადაც. მაგალითისთვის, უფრო სწორად, სამწუხარო მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე ქართველი მოკრივეები ძალზე უფერულად გამოდიან რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. უფრო მეტიც, ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის ვერც ერთმა მოკრივემ ვერ გაიკვლია გზა საბჭოთა კავშირის ფინალურ ასპარეზობამდე (!).

როგორც ამბობენ, ფაქტი ჯიუტია და სპორტულმა საზოგადოებრიობამ, კრივის რესპუბლიკურმა ფედერაციამ სიმართლეს პირდაპირ უნდა შეხედონ თვალებში, ყველა ღონე იხმარონ საქმის მკვდარი წერტილიდან დაძვრისთვის, მით უმეტეს, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დაწყებამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი.

კრივის მესვეურებმა შეიძლება თქვან: ყველაფერი ისეთ უიმედო მდგომარეობაში როდია, როგორც ამ წერილშია წარმოდგენილი. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად ისინი დაასახელებენ უკანასკნელ ხანებში გამართულ რამდენიმე შეჯიბრებას, ამ ასპარეზობებში მონაწილე ზოგიერთ პერსპექტიულ, უდავოდ ნიჭიერ მოკრივეს, კარგად ორგანიზებულ ტურნირებს, ერთი სიტყვით, კრივის რამდენადმე გამოცოცხლებულ ცხოვრებას. განა ამის შესახებ არ ვლაპარაკობდით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ვრცელ წერილში, რომელიც რამდენიმე თვის წინ ბათუმში გამართულ იუნიორთა რესპუბლიკურ შეჯიბრებას შეეხებოდა. ჩვენ გამოვთქვამდით სურვილს, რომ უახლოეს დროში რესპუბლიკის მოზრდილთა ნაკრებ გუნდშიც გვეხილა ახალი, საიმედო ძალები, მაგრამ განვლო დრომ და სურვილი სურვილად დარჩა. გულზე ხელი დავიდოთ და გულწრფელად ვთქვათ: დღესდღეობით ჩვენი რესპუბლიკის რომელ მოკრივეს შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს უძლიერეს საბჭოთა ოსტატებს, რომელ მათგანს ძალუძს იბრძოლოს თუნდაც საპრიზო ადგილისთვის?

ეს გახლავთ მედლის ერთი მხარე. მაგრამ უსამართლონი ვიქნებით, თუ მედლის მეორე მხარესაც არ დავინახავთ. ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეებს დღემდე არა აქვთ სპეციალიზებული სპორტული დარბაზი, რომელიც ოდნავ მაინც შეესატყვისება თანამედროვე მოთხოვნებს. განა კურიოზი არ არის, რომ რესპუბლიკის უძლიერეს მოკრივეებსაც კი სავარჯიშოდ გამოყოფილი აქვთ პაწაწინა ოთახი (ენა ვერ გვიბრუნდება, დარბაზი ვუწოდოთ), სადაც თაგვი ვერ მოიქნევს კუდს (!). კურიოზი ამით არ მთავრდება. ერთი გვითხარით, რა გუნებაზე იქნება მოკრივე, რომელიც ინტენსიური, დამღლელი ვარჯიშის შემდეგ მეტწილად შინ ოფლად გახვითქული მიდის, რადგანაც შხაპი ხშირ შემთხვევაში მისთვის მიუღწეველი ფუფუნებაა? აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ მოკრივეთა ბედს იზიარებენ რესპუბლიკის უძლიერესი ფალავნებიც, რომლებიც ამავე შენობაში ერთი სართულით მაღლა ვარჯიშობენ. ჭეშმარიტად საზღვარი არა აქვს, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვებს, იმათ დაუდევრობასა და გულცივობას, ვისაც ჩამოთვლილი მტკივნეული საკითხები არც ისე მნიშვნელოვან ამბად ეჩვენება.

რაც შეეხება კრივის რესპუბლიკურ ფედერაციას, თვითონ მოკრივეებსა და მათს მწვრთნელებს, ისინი სულმთლად გულხელდაკრეფილნი როდი არიან. ყველაფერი ყველაფერი და, მონდომების, ენთუზიაზმის უკმარობას მათ ვერ დავწამებთ. მაგრამ საქმეც ისაა, რომ თანამედროვე სპორტში მარტო მონდომებითა და ენთუზიაზმით შორს ვერ წახვალ. იქნებ ჩვენი მწვრთნელების ერთი ნაწილის კვალიფიკაცია ვერ უპასუხებს კრივის დღევანდელ დონეს, იქნებ არასაკმარისად უწევენ პოპულარიზაციას სპორტის ამ რაინდულ, საყოველთაოდ აღიარებულ სახეობას? ეს გახლავთ დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა ანალიზიც კრივის სპეციალისტებისთვის მიგვინდვია.

ეს ფიქრები აღგვიძრა აპლახან დამთავრებულმა მოკრივეთა რესპუბლიკურმა პირადმა ჩემპიონატმა. ასპარეზობის მონაწილეებისთვის უთუოდ სასიხარულო და გამამხნევებელი იყო ის, რომ თბილისის სპორტის სასახლეში

(დასასრული მე-2 გვ.).

## ახალი ამბები

● ლიუბლიანა, 30 ოქტომბერი. ტანმოვარჯიშეთა 1971 წლის ევროპული ჩემპიონატი მინსკსა და მადრიდში მოეწყობა. ბელორუსიის დედაქალაქში იასპარეზებენ ქალები, ესპანეთის დედაქალაქში — ვაჟები. მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი გაიმართება 1974 წელს ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში. ასე გადაწყვიტა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის სხდომამ, რომელიც აქ გაიმართა.

● ბაქო. 30 ოქტომბერი. საათში 227 კმ სისწრაფე განავითარა 10 კუბურ სანტიმეტრამდე მოცულობის სარბოლი ავტომანქანის მოდელმა, რომელიც შექმნა ლენინგრადელმა სპორტსმენმა ვ. გუსევმა. ეს შედეგი, რომელიც ახალი საკავშირო რეკორდია, ნაჩვენები იქნა აზერბაიჯანის დედაქალაქში ჩატარებულ ავტომობილისტთა საკავშირო შეჯიბრებაში.

● ნიუ-იორკი, 30 ოქტომბერი. როგორც ცნობილია, ამერიკელმა პ. გეიბლიჰმა თავისი მანქანით „ცისფერი ალი“ ბონევილის მლაშეტბის მიდამოებში მიაღწია კოლოსალურ სისწრაფეს — 1000 კილომეტრზე მეტს საათში. 30 წლის სპორტსმენმა გადაწყვიტა გაზაფხულამდე დაესვენა, მაგრამ გულმა მაინც არ მოუთმინა და იმავე ბონევილის ტრასაზე კვლავ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 1001,667 კმ საათში.

## ოსტატებიცა და ოსტატობის კანდიდატებიც

ფალავანთა კლუბში დამთავრდა თბილისის პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობდა 43 ათლეტი, მათ შორის, 6 ოსტატი და 9 ოსტატობის კანდიდატი. მონაწილეთა ნახევარზე მეტს ჭაბუკები შეადგენდნენ, თუმცა ტურნირი მოზრდილებისთვის იყო განკუთვნილი. ეს ალბათ იმანაც გამოიწვია, რომ ბევრმა წამყვანმა მოჭიდავემ უარი თქვა სარბიელზე გამოსვლაზე. სპორტსაზოგადოებებმა, სადაც კლასიკურ ჭიდაობაში რამდენიმე მწვრთნელი მუშაობს, მოჭიდავენი ვერ გამოიყვანეს. „შრომითმა რეზერვებმა“ და „ლოკომოტივმა“ ერთად სულ 6 მონაწილეს მოუყარეს თავი. გასაკვირია ისიც, რომ „დინამო“ სულ რამდენიმე ათლეტით ასპარეზობდა.

არ იყვნენ არც კვალიფიციური მსაჯები. გამოუცდელი არბიტრები, კი, ცხადია, ბევრს სცოდავდნენ. ზემოაღნიშნული ხარვეზების მიუხედავად, შეჯიბრება საინტერესოდ ჩატარდა. რაც მთავარია, ტურნირმა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოავლინა. მათ შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ტ. ლეჟავა და ს. გლოველი.

თბილისის ჩემპიონის წოდება წონითი კატეგორიების მიხედვით დაისაკუთრეს: სეფისკვერაძემ („დინამო“), ახტიანმა (განათლების განყოფილება), ღამბაროვმა, მირზოიანმა (ორივე — ასკ), ლეჟავამ („დინამო“), გლოველმა, ა. მორგოშიამ, ვ. გარუჩავამ (ყველა — „ბურევესტნიკი“), ზ. ჭელიძემ („ლოკომოტივი“).

ტ. ფილიშვილი,
სპორტის ოსტატი.

## ოთხი უცნობია

თბილისის რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში შედგა დედაქალაქის 1971 წლის პირველობის ნახევარფინალის ბოლო, XI ტური. მანამდე საჭადრაკო კლუბის დირექტორმა, საერთაშორისო არბიტრმა ლ. წეროძემ გახსნა საღამო, რომელიც თ. ხუგაშვილისთვის სპორტის ოსტატის წოდების მინიჭებას მიეძღვნა. საქართველოს სსრ მთავარმა მწვრთნელმა ჭადრაკში რ. თავარიანმა ხუგაშვილს მიულოცა წოდების მინიჭება და გადასცა სპორტის ოსტატის ნიშანი. ახალ ოსტატს მიესალმა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. შიშოვი.

შემდეგ საათები ჩართეს. თამაშისთვის განკუთვნილმა დრომ ფინალის საგზურების მხოლოდ ექვსი მფლობელი გამოავლინა. ესენი არიან: ზ. მიქაძე და გ. ციხელაშვილი (8,5-8,5 ქულა), გ. მაჭავარიანი, ვ. მეჩიტოვი, რ. კაპანაძე და ნ. ჩახოიანი (7,5-7,5).

დანარჩენ მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: ა. არჩვაძეს, ს. მეგრელიშვილს, ვ. ტახტაროვს, დ. გედევანიშვილს და ე. ბელქანიას 7-7 ქულა აქვთ. 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს პ. შაქარიანმა, დ. ჯანოევმა და ო. თურქესტანიშვილმა. შაქარიანს გადადებული პარტია აქვს უკონკურსოდ მოასპარეზე რ. ჯინჯიხაშვილთან (7,5 ქულა), ხოლო ჯანოევსა და თურქესტანიშვილს ერთმანეთს შორის აქვთ პარტია დასამთავრებელი. უკონკურსოდ მოასპარეზე ნანა ალექსანდრიამ 7 ქულა დააგროვა.

## „იმედის თასისთვის“ საბრძოლველად

დღეს სიმფეროპოლს მიემგზავრება საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა (1952-53 წლებში დაბადებული) ნაკრები გუნდი, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს „იმედის თასის“ საკავშირო ფინალურ გათამაშებაში (8-18 ნოემბერი). გუნდს ამ გადამწყვეტი ტურნირისთვის ამზადებდნენ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი რ. მახარაძე.

სურათები გადაღებულია საქართველოს ნაკრების უკანასკნელ საწვრთნელ დღეს. მარცხნივ — ვ. ელოშვილი მითითებას აძლევს ფეხბურთელებს; შუაში — მოთელვა მატჩის წინ; მარჯვნივ — საწვრთნელი თამაშის მომენტი.

ბ. ქვათაძის ფოტო.

## ჩვენი ძმები რესპუბლიკებში

### ყოველ სოფელს — სპორტული დარბაზი

ვოროშილოვგრადის ოლქის ნოვოპსკოვსკის რაიონის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსმენებს ახლა მთელი წლის მანძილზე შეუძლიათ ვარჯიში. აქ მწყობრში ჩადგა კოლმეურნეობის სახსრებით აგებული სპორტული კომპლექსი. თამაშების დიდ დარბაზში შეჯიბრებებისა და საწვრთნელი მეცადინეობების გამართვა შეუძლიათ ფეხბურთელებსა და კალათბურთელებს, მცირე დარბაზში — ძალოსნებს, მოჭიდავეებს, მაგიდის ჩოგბურთელებს. ზაფხულის პერიოდისთვის მოწყობილია ღია სპორტული მოედნები.

ახლა ამ რაიონის 15 სოფელს აქვს საკუთარი სპორტული დარბაზები.

მ. მეჟენსკი,
საკდესის კორ.

ვოროშილოვგრადი.







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი — სპარტაკიადებისთვის მზადება

# ყველა პირობა აქვთ

საქართველოს სპორტულმა დელეგაციებმა სსრ კავშირის ხალხთა წინა ოთხ სპარტაკიადაში V ადგილები მოიპოვეს. ისინი ოთხივეჯერ მხოლოდ მოსკოვის, რსფსრ-ს, უკრაინისა და ლენინგრადის ნაკრებ კოლექტივებს ჩამორჩნენ. 17 გუნდში V ადგილი ცუდი როდია. ამიტომაც არის, რომ საქართველოს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს მუდამ მოწინავეთა შორის ასახელებენ. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ამ V ადგილის მოპოვება თანდათან ძნელდებოდა, ვინაიდან სხვა რესპუბლიკების სპორტსმენებიც საგრძნობლად დაწინაურდნენ. საერთო კომპლექსურ ჩათვლაში საპატიო კვარცხლბეკისკენ განსაკუთრებით ბელორუსიისა და ყაზახეთის გუნდები მიიწევენ, ცალკეულ სახეობებში კი ბალტიისპირეთის, შუა აზიისა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების სპორტსმენებიც გარკვეულ პრეტენზიებს აცხადებენ.

სსრ კავშირის სპორტულმა დელეგაციამ წლების მანძილზე მოპოვებული წარმატება მეხიკოს ოლიმპიადაში დათმო. ამიტომ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის ჩათვლის ახლებური სისტემა შემოიღეს. ამან მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. სპორტსმენებმა ახლა მარტო სპორტის ოსტატისა კი არა, საერთაშორისო კლასის შედეგების მოპოვებისთვის უნდა იბრძოლონ. უნდა გვახსოვდეს, რომ სპარტაკიადა ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის კომპლექსური შემოწმების გარდა, მიუნჰენის მომავალი ოლიმპიადისთვის ნაკრები გუნდების კანდიდატთა შერჩევასაც ისახავს მიზნად.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ამოცანა ყველა რესპუბლიკაში კარგად გაიგეს და მისი გადაწყვეტისთვის მზადებაც დიდი ხანია გააჩაღეს. ვალში არც საქართველო დარჩა — რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დროულად დასახა ღონისძიებები საქართველოს სპარტაკიადის წარმატებით ჩატარებისთვის, ნაკრები გუნდების კანდიდატების შერჩევისა და მათი სათანადოდ მომზადებისთვის. მათთვის, ვინც გაისად საქართველოს სპორტული ღირსება უნდა დაიცვას, გამოყოფილია რესპუბლიკის საუკეთესო სტადიონები, სექტორები, ბილიკები, დარბაზები, აუზები, ინვენტარი, შერჩეულია მწვრთნელები. სასწავლებლების, საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა ნაკრების წევრებს წვრთნისთვის მეტი დრო მისცეს...

ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა რამდენიმეჯერ შეამოწმა გუნდების მზადება. ამას წინათ ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩატარდა მწვრთნელების, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების წარმომადგენლების, სპორტული მედმუშაკების შეკრება, სადაც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადების საქმეში მოპოვებულ წარმატებებზე და შენიშნულ ნაკლოვანებებზე იყო მსჯელობა.

შეკრებაზე, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე ხელმძღვანელობდა, ითქვა, რომ სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში უკვე გარკვეული წარმატებებია მოპოვებული. მაგრამ აღინიშნა ისიც, რომ ნაკლოვანებებიც საკმაოდ გამოვლინდა. ეს განსაკუთრებით სპორტულ ტანვარჯიშს, მძლეოსნობას, ტყვიის სროლას, კრივს, ძალოსნობას, კალათბურთსა და ჭიდაობის სხვადასხვა სახეობას ეხება.

ითქვა, რომ ტანმოვარჯიშეთა ნაკრებ გუნდში ბევრი საკითხი მოსაგვარებელია, მოიკოჭლებს დისციპლინა, დინამოელ სპორტის ოსტატს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს ნინოშვილს ივლისიდან აღარ უვარჯიშია, განთიადელმა სპორტის ოსტატებმა ლაპისტოვამ და ბოგოლიუბოვამ მაჩვენებლები გააუარესეს, დინამოელმა ლოლაძემ თვითნებურად მიატოვა საქართველოს პირველობა, ღუდუშაურის თვითნებობა იქამდე მივიდა, რომ იგი უდისციპლინობისთვის ნაკრებიდან გარიცხეს. ჩქოტუა და ფეიქრიშვილი საწვრთნელ მეცადინეობებს აცდენენ. ყველაფერი იმან გამოიწვია, რომ მწვრთნელები დროულად არ აქცევდნენ ყურადღებას აღსაზრდელთა მიერ რეჟიმის დარღვევას, სპორტსმენები პასუხისმგებლობას ვერ გრძნობდნენ.

უარესი მდგომარეობაა მძლეოსნობაში. სპორტის ოსტატები იევლევა, ბახტაძე, კოზელსკი, მდინარაძე საწვრთნელ მეცადინეობებზე ხშირად აგვიანებენ, თათევოსიანი წვრთნას გაურბის, ანდრეევი სრული დატვირთვით არ ვარჯიშობს. გუნდი იმანაც დაასუსტა, რომ ბევრი მისი წამყვანი წევრი ავადმყოფობს. მწვრთნელთა საქმიანობაში უგულისყურობა შეიმჩნევა. ისინი სპორტსმენთა მომზადებისას წვრთნის თანამედროვე მეთოდებს არ იყენებენ, ზოგჯერ მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით მუშაობენ.

ბევრი ნაკლია მოკრივეთა მუშაობაში. ქუთაისელი ნიკოლაძე არარეგულარულად ვარჯიშობს, სულაკაძე ხულიგნობისთვის პასუხისგებაშია მიცემული, თბილისის არმიელთა სპორტკლუბის წევრი რჩაევი არმიელ მოკრივეთა საკავშირო შეკრებაზე საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის ნებართვის გარეშე გაემგზავრა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი შალამბერიძე საწვრთნელ მეცადინეობებს ხშირად აცდენს...

შეკრებაზე საყვედური გამოთქვეს, აგრეთვე, ტყვიის მსროლელების პაპავას, თავდიდიშვილის, ჟამურაშვილის, დილმელაშვილის, ფარულავას მიმართ, რომლებიც აცდენენ მეცადინეობას, აგვიანებენ საწვრთნელ ვარჯიშზე. ითქვა, რომ წვრთნას მომსახურე პერსონალის უყოლობაც აფერხებს.

როცა საუბარი სასტენდო სროლას შეეხო, აღინიშნა, რომ ამ სახეობის განვითარებას აფერხებს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ნაკლები ზრუნვა, სასროლეთების უკმარობა.

კრებაზე ითქვა, რომ ფრენბურთელთა წვრთნა ხშირად ფორმალური ხასიათისაა, დუხანოვა და სმიგუნოვა მეცადინეობას აცდენენ...

დაისახა სათანადო ღონისძიება. გადაწყდა, რომ სისტემატურად შემოწმდეს ნაკრები გუნდების საქმიანობა. ის მწვრთნელები და სპორტსმენები, რომლებიც კვლავ იქნებიან შენიშნულნი საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში, შესაფერის სასჯელს მიიღებენ.


მ. მიქოიანი


თ. ტიტვინიძე


მ. არუთინოვი


გ. ვარდანიანი


გ. ცხადაია


თ. შალიკიანი


მ. სვანიძე


ი. მისტაკოპულო


ნ. გარაბაჯი


დ. დანილენკო


ვ. მილიუშენკო

# მედლის ორი მხარე

დასასრული

ჩემპიონატს მუდამ დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა. ვფიქრობთ, კრივის გულშემატკივრები კმაყოფილი დარჩნენ შეჯიბრების საუცხოო ორგანიზაციით. ჩემპიონატის ორგანიზატორებმა თავი არ დაზოგეს, რათა რესპუბლიკის წლევანდელი პირველობა კრივში თავისებურ სპორტულ დღესასწაულად ექციათ. უნდა ითქვას, რომ მათ მიზანს მიაღწიეს. კრივის თაყვანისმცემლებს შეჯიბრების გამართვა აუწყა საგანგებოდ გამოშვებულმა აფიშებმა, ასპარეზობაში გამარჯვებულ სპორტსმენებს საზეიმო ვითარებაში გადასცემდნენ რესპუბლიკის ჩემპიონთა მედლებს, რომლებზეც მოკრივის გამოსახულებაა ამოკვეთილი (სამწუხაროდ, ეს კეთილი ტრადიცია ბოლო წლებში მიივიწყეს და არც ერთ რესპუბლიკურ ჩემპიონატში სხვა სახეობათა წარმომადგენლები მედლებით აღარ ჯილდოვდებიან). კარგად გაართვა თავი საპასუხისმგებლო ამოცანას ჩემპიონატის მსაჯთა ბრიგადამაც. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად აამაღლა შეჯიბრების სანახაობრივი მხარე.

შეჯიბრებას შნო და ლაზათი შემატა თავისებურმა რიტუალმა. განა ხშირად გვინახავს, რომ გამარჯვებულ სპორტსმენებს ჯილდოებს საზეიმო ვითარებაში გადასცემდნენ ისინი, ვისაც ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა დიდ პატივს სცემს? ამჯერად რესპუბლიკის ჩემპიონებმა ორ წონით კატეგორიაში სპეციალური გარდამავალი თასი ჩაიბარეს წარსულში ცნობილი მოკრივეების ბორის კალაძისა და ბორის მელაძის ქალიშვილებისგან. მისასალმებელია, რომ კრივის ფედერაციამ ტყავის ხელთათმანის ამ გამოჩენილი ოსტატების ხსოვნის უკვდავსაყოფად დააწესა გარდამავალი თასი იმ წონით კატეგორიებში, რომლებშიც თავის დროზე კალაძე და მელაძე გამოდიოდნენ, ხოლო ამ პრიზების გადაცემა მათ შვილებს მიანდო.

ახლა თავად ასპარეზობის ფინალური ნაწილის შესახებ. ორიოდე ბრძოლის გარდა შეჯიბრების სიუჟეტი უფერული იყო. რა თქმა უნდა, ამაში პირველ ყოვლისა თვით სპორტსმენებს მიუძღვით ბრალი. ასეთი შეფასება სამართლიანი იქნება იმ შემთხვევაში, თუ კი რესპუბლიკის წლევანდელ ჩემპიონატს უმაღლეს, „საკავშირო" საზომს მივუყენებთ, რადგანაც ყველა მნიშვნელოვანი შეჯიბრება, რომელიც კი ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ნებისმიერ სახეობაში იმართება, დღეს მომავალი სპარტაკიადის ნიშნის ქვეშ ტარდება.

როგორც მოსალოდნელი იყო, წონითი კატეგორიების უმრავლესობაში უძლიერესები თბილისელები იყვნენ. რაც შეეხება ქუთაისელ სპორტსმენებს, მათ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ამ ქალაქში კვლავ იზრდებიან ქართული კრივის საიმედო ძალები. ფინალისტთა შორის 6 ქუთაისელი იყო, რაც უდავოდ სასიხარულო ფაქტია. აღსანიშნავია სოხუმელი და ბათუმელი მოკრივეების გარკვეული პროგრესიც.

ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ბრძოლად შეიძლება ჩაითვალოს თბილისელი თ. ტიტვინიძისა და ქუთაისელი მ. ქურციკიძის შეხვედრა (51 კგ). სამივე რაუნდმა დაძაბულად ჩაიარა. ძნელი იყო რომელიმე მეტოქისთვის უპირატესობის მინიჭება, მაგრამ ბრძოლის დასასრულს ქუთაისელ მოკრივეს გამძლეობა არ ეყო, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა შეხვედრის ბედიც. ქულებით გაიმარჯვა ტიტვინიძემ. თბილისელ მოკრივეს გადაეცა კალაძის სახელობის გარდამავალი თასი. ამ შეხვედრის დამთავრების შემდეგ ცნობილმა მწვრთნელმა შ. გორგასლიძემ თქვა: „თასი ღირსეულს ერგო. ტიტვინიძის ბრძოლა ძალიან მაგონებს ჩემი მეგობრის ბორის კალაძის მანერას".

ასევე საინტერესო გამოდგა ქუთაისელ მოკრივეთა — გ. ცხადაიასა და რ. თოფურიას (60 კგ) ორთაბრძოლა. სპეციალისტების აზრით, ცხადაიას სახით რესპუბლიკას ნიჭიერი მოკრივე ეზრდება. მას ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ წარმატებით დაიცვას ქართული კრივის ღირსება უფრო დიდი მასშტაბის შეჯიბრებებშიც. ეს გამომჟღავნდა როგორც წინასწარ შეხვედრებში, ასევე ფინალურ ბრძოლაშიც. ცხადაია იბრძოდა გააზრებულად, სწრაფ ტემპში, ტექნიკურად. თუმცა, ამ ნიჭიერი მოკრივის მიმართ გარკვეული პრეტენზიაც გვაქვს. კერძოდ, მისი ფიზიკური მომზადება სათანადო დონეზე არ დგას, რაც დაგვანახვა ფინალური ორთაბრძოლის მესამე რაუნდმა. ასეთი ნაკლის გამო მოკრივე რინგზე ხშირად ისჯება... ამჯერად ცხადაიასთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა და მას ჩემპიონის მედალთან ერთად გადაეცა ბ. მელაძის სახელობის თასიც. ეს წარმატება ახალგაზრდა პერსპექტიულ მოკრივეს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს.

ჭკუის სასწავლებელი გამოდგა თბილისელი გ. ვარდანიანისა და ბათუმელი ა. ბაზალის შეხვედრა (57 კგ). ის, რაც ვარდანიანს დაემართა, გაკვეთილად უნდა გამოადგეს ახალგაზრდა მოკრივეებს. თბილისელი ოსტატი უკვე მრავალი წელია მონაწილეობს სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში და დიდი გამოცდილებაც აქვს. მით უფრო საკვირველია, რომ ვეტერანმა სათანადოდ არ შეაფასა ახალგაზრდა მეტოქის შესაძლებლობანი და შეხვედრა ცოტა არ იყოს აგდებულად დაიწყო, რისთვისაც უმალ დაისაჯა. ბათუმელი ბაზალის ერთ-ერთმა ძლიერმა დარტყმამ იგი პირველივე რაუნდში ნოკდაუნში გაგზავნა. მხოლოდ დიდმა გამოცდილებამ უშველა ვარდანიანს, რომ ბრძოლა თავის სასარგებლოდ დაემთავრებინა.

ა. გოგელია.

გაგაცნობთ I-II ადგილებზე გასულ სპორტსმენებს:

48 კგ. 1. მ. მიქოიანი (თბილისი), 2. თ. ლორთქიფანიძე (ქუთაისი);
51 კგ. 1. თ. ტიტვინიძე (თბილისი), 2. გ. ქურციკიძე (ქუთაისი);
54 კგ. 1. მ. არუთინოვი (თბილისი), 2. ხ. ანტონიდი (სოხუმი);
57 კგ. 1. გ. ვარდანიანი (თბილისი), 2. ა. ბაზალი (ბათუმი);
60 კგ. 1. გ. ცხადაია, 2. რ. თოფურია (ორივე — ქუთაისი);
63 კგ. 1. თ. შალიკიანი (ქუთაისი), 2. ს. კულუა (ფოთი);
67 კგ. 1. მ. სვანიძე (ქუთაისი), 2. მ. შამოიანი (თბილისი);
71 კგ. 1. ი. მისტაკოპულო, 2. ი. ლეიბა (ორივე — სოხუმი);
75 კგ. 1. ნ. გარაბაჯი (რუსთავი), 2. ი. იუმუკიანი (თბილისი);
81 კგ. 1. დ. დანილენკო, 2. ი. ბაბახანიდი (ორივე — თბილისი);
81 კგ. და ზევით. 1. ვ. მილიუშენკო (თბილისი), 2. ნ. ნანოიანი (ბათუმი).

შენიშვნები საფეხბურთო სეზონის გამო

# ნება მიბოძეთ...

## I

ფეხბურთი შემთხვევითობის გარეშე არ არსებობს. მუდამ ასეა: ერთს გაუღიმებს ბედი, მეორეს უმტყუნებს. თამაშს მუდამ ახლავს ერთგვარი ყოყმანი. გადახრა ხან კარგისა და ხან ცუდისკენ, რაც მუდამ დამოკიდებულია ფეხბურთელთა შემადგენლობაზე, მათი გაწვრთნილობის დონეზე, არჩეულ ტაქტიკაზე, განწყობილებაზე და სხვა სუბიექტურ ფაქტორებზე.

კარგია, თუ ბედმა გაგიღიმა. მაგრამ შემთხვევით როდი ამბობენ, ბედი მუდამ ძლიერებს სწყალობსო, თუ უკეთ გამოიყენებ შენს შანსებს, ეს უკვე უპირატესობას განიჭებს. მაგრამ თუ ცალკეულ გამონაკლის შემთხვევებზე არ ვილაპარაკებთ, შანსის გამოყენებას შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს მხოლოდ მეტოქეთა თამაშის შედარებით თანაბარი დონის დროს. ხომ გახსოვთ: გოგრა არ გახდება შირაზის შუშა...

ამგვარად, როგორც ხედავთ, ბოლო სიტყვა მუდამ ეკუთვნის თამაშის კლასს, ობიექტურად შექმნილ, გარკვეულ პერიოდში მუდმივ ძალთა შეფარდებას.

ესე იგი, წარმატების ხამი შემადგენელი ნაწილია იღბალი, შანსის გამოყენების უნარი და თამაშის კლასი. რომელი ამ თვისებათაგანი აკლდათ საბჭოთა ფეხბურთელებს მექსიკაში?

იღბალი? მაგრამ ხომ გაუღიმა მათ ბედმა ჯგუფის შერჩევისას? წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ნაკრები ბულგარეთის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიის და რუმინეთის გუნდების მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ახლა პირველი ადგილი თავის ოთხეულში? განა არ ჰქონდა აქ მნიშვნელობა ვალერი პორკუიანის ხელით ამოღებულ ბედნიერ ბილეთს? უფრო მეტიც, კენჭისყრით მას ნახევარფინალში მოხვედრაც კი შეეძლო, მაგრამ აფონინის წყალობით თვითონ გაუშვა ხელიდან ეს შანსი ურუგვაისთან მატჩის ბოლო წუთებზე. ერთი სიტყვით, დიდი ცოდვა იქნება ბედს დავემდუროთ. თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელია. ურუგვაისთან შეხვედრაში მართლა კენჭისყრამდე რომ მისულიყო საქმე, ეს არსებითად არაფერს შეცვლიდა ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხში, აუცილებლად დაგვახვევდა თავბრუს „წარმატება" და უკვე გაგვიჭირდებოდა საკუთარი თავის კრიტიკულად შეფასება. ასეა თუ ისე, იღბალი არაფერ შუაშია.

ესე იგი, წარუმატებლობის მიზეზი თვით ნაჩვენები ფეხბურთის კლასში უნდა ვეძებოთ. ჯერ ერთი, იგი ძალიან შორს იყო გუნდის ნამდვილი შესაძლებლობებისგან; მეორეც, მისი ნამდვილი შესაძლებლობებიც ძალიან შორს დგას თამაშის უმაღლესი საერთაშორისო დონისგან. ერთი სიტყვით, შანსები არც ისე დიდი იყო და, რაც იყო, ისიც ვერ გამოვიყენეთ.

რატომ ითამაშა საბჭოთა ნაკრებმა უფრო ცუდად, ვიდრე შეეძლო? მართალი არიან თუ არა მისი ხელმძღვანელები, როცა მიზეზად ასახელებენ ნაკრების წევრთა ნაკლებ შეთამაშებას, რაც შემადგენლობის განახლებით იყო გამოწვეული, აგრეთვე, ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოუცდელობას და სუსტ ნებისყოფას. რა ეშმაკები არიან. ხედავთ, როგორ გვიბიძგებენ გულის დამამშვიდებელი დასკვნებისკენ? საჭირო იყო თუ არა ნაკრების შემადგენლობის განახლება? საჭირო იყო. მაშ ვინ არის დამნაშავე, რომ გუნდმა ერთი წლის მანძილზე შეთამაშება ვერ მოასწრო? საჭირო იყო თუ არა ახალგაზრდობის მიზიდვა? საჭირო იყო. მაშ ვის მიუძღვის ბრალი, რომ ახალგაზრდობას აკლია გამოცდილებაც და ნებისყოფაც? პირიქით, გამოდის, რომ ეს ყველაფერი აუცილებელი ნაწილია განახლებისა, რაც მალე მოგვცემს თავის შედეგს. გამოდის, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტური მიზეზი ყოფილა და არა შეცდომა. ამ შემთხვევაში კი არ უნდა გავაკრიტიკოთ, მადლობა უნდა ვუთხრათ ფეხბურთის მესვეურებსა და მწვრთნელებს მათი ხვალინდელ დღეზე „ზრუნვისთვის", იმ სკანდალური ფეხბურთისთვის, საბჭოთა გუნდმა მექსიკაში რომ ითამაშა. მაგრამ, აქ არ უნდა დავივიწყოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: რატომ გაიხსენეს ეს ყოველივე მხოლოდ მას შემდეგ, რაც მარცხი ვიწვნიეთ და თავის მართლება დაგვჭირდა?

მართლაც, იქნებ იმიტომ თამაშობდნენ ჩვენი ფეხბურთელები ერთი ალთას, მეორე ბალთას, რომ შეთამაშების დრო არ ჰქონდათ? ხისულელეა. რა შეთამაშებისთვის საჭირო ვადებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მექსიკის ჩემპიონატის მონაწილე გუნდის წევრთა უმეტესობა უკვე მერჯერ იყო მიწვეული ნაკრებში და დიდხანსაც თამაშობდა. ამისგან დამოუკიდებლადაც რამდენი საწვრთნელი შეჯიბრება, ამხანაგური თუ ჩასათვლელი შეხვედრა ჩატარდა. გუნდი სწორად რომ ყოფილიყო დაკომპლექტებული და ნავარჯიშევი, განა ერთი წელი საკმარისი არ იქნებოდა მისი თამაშის გასაერთიანებლად?

ასევე უსაფუძვლო ჩანს თავის გასამართლებლად ახალგაზრდული გამოუცდელობისა და უნებისყოფობის მოშველიება. მაგალითად მოჰყავთ გფრ-ის გუნდი, რომლის მოთამაშეთა საშუალო ასაკი 29 წელი იყო და ერთნახევარი წლით აღემატებოდა საბჭოთა ფეხბურთელების საშუალო ასაკს. უარყოფითი ფაქტის მაგალითად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა გუნდის წევრთა შორის 23 წლის ფეხბურთელი იყო. ძალიან ახალგაზრდააო! ეს საბუთები ყურით მოთრეულს უფრო ჰგავს. გფრ-ის მაგალითი მოწმობს მისი გუნდის წევრების სპორტულ დღეგრძელობას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება იმის დასადასტურებლად, რომ სპორტული სიმწიფის ზენიტს ფეხბურთელი საერთოდ 30 წლის ასაკში აღწევს. არა, ფეხბურთელს შეუძლია ამ ასაკშიც ითამაშოს, მაგრამ თუ 23-25 წლის ასაკში ვერ გამოავლინა ოსტატობა, შემდეგ მისგან ხეირს აღარ უნდა ელოდე. ამიტომ ძალიან სამწუხაროა, როცა 23 წლის ფეხბურთელს ჯერ კიდევ ტუჩზე რძეშეუმშრალ ბალღად გვისახავენ, როცა გუნდი, რომლის საშუალო ასაკიც 27 წელია, მეტისმეტად ახალგაზრდულად ითვლება. როდის აქეთ იქცა ფეხბურთი საპატიო ასაკის ხალხის თამაშად? აღარას ვამბობთ, რომ შვეციაში პელე 17 წლისა თამაშობდა, ე. სტრელცოვი მელბურნში — 19 წლისა. განა შეიძლება დავივიწყოთ, რამდენი 22 და 23 წლის ფეხბურთელი იყო საბჭოთა გუნდში, რომელმაც 1960 წელს პირველად მოიპოვა ევროპის თასი? არა, ახალგაზრდობა არ იყო ჩვენი ფეხბურთელების ცუდი გამოსვლის მიზეზი. გამოცდილება მათ საკმარისი ჰქონდათ. ყველამ გაიარა საპასუხისმგებლო შეხვედრების სკოლა ნაკრებში და საკუთარ კლუბებში. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალებში მონაწილეობის კოლექტიურ გამოცდილებას, ამ მხრივ საკმარისი გახლდათ, ისიც, რომ თვით გუნდის უფროსი, მწვრთნელი და რვა ფეხბურთელი, წინა მსოფლიო პირველობის მონაწილენი იყვნენ. ასევე არ შეიძლება შემადგენლობის ახალგაზრდობითა და კლუბებიდან შეტანილი „ინფექციით" აიხსნას ნებისყოფისა და „შეტევის წყურვილის უკმარობა", რაც ნაკრებმა მექსიკაში გამოიჩინა. ნაკრები იმ კლუბებისა და ფეხბურთელების ანგარიშზე დაკომპლექტდა, რომლებიც (ყოველ შემთხვევაში ამ ბოლო ხანს) იერიშისკენ სწრაფვით გამოირჩეოდნენ. მაგრამ რიგით მოთამაშეთა რა ნებისყოფაზე და შემტევ სულისკვეთებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა თავად მხედართმთავრები შედრკნენ და გამარჯვების რწმენა დაკარგეს? ეს განწყობილება გადამდებია. ამან მყისვე მოახდინა გავლენა კოლექტივზე. გუნდის მრჩევლები ჯერ კიდევ მაშინ შეშინდნენ, როცა ნაკრების პირველი წარუმატებელი ამხანაგური მატჩების შემდეგ სასწრაფოდ დაიწყეს გუნდის შემადგენლობის „განმტკიცება". ისინი იერიშზე არც მაშინ ფიქრობდნენ, როცა თავიანთ „დეკლარაციებზე" უარი თქვეს, 5-5 მცველი დააყენეს და დაავალეს მათ არავითარ შემთხვევაში არ გადაელახათ მინდვრის შუა ხაზი. ეს ხომ ფაქტია! რა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში კოლექტივმა დაკარგა საკუთარი ძალის რწმენა.

მექსიკაში ნაკრები თავის შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად თამაშობდა, რადგან სწორად დაკომპლექტებული და მომზადებული არ იყო, ჩამორჩენილი ტექნიკა ჰქონდა, დაზარალდა შეჯიბრების დროს დაშვებული ლაფსუსებისა და ხელმძღვანელთა მორალურ-ნებელობითი დეპრესიის გამო. ეთანხმებიან თუ არა ნაკრების იმდროინდელი ხელმძღვანელები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გადაწყვეტილებას? ეთანხმებიან თუ არა იმ აზრს, რომ ნაკრები ჩვენი ფეხბურთის დონის შესაფერად ვერ თამაშობდა? ეთანხმებიან თუ არა ამ გარემოების მიზეზებს? და, თუ ეთანხმებიან, მაშ ვინ არის დამნაშავე?

აქ ზოგიერთი საკითხის დაზუსტებაა საჭირო, რადგან გასარკვევია, ბუზი გვეჩვენა სპილოდ თუ სპილო ბუზად.

1. არასწორი დაკომპლექტება. საქმე ის კი არ არის, პეტრე უნდა მიეწვიათ ნაკრებში თუ პავლე. თვით პრინციპი იყო მცდარი. ჩვენ ახლა ბევრი შედარებით კარგი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ გამოჩენილი კი არც ერთი. ამიტომ, რათა შექმნილი კონგლომერატისგან დაგვეღწია თავი, ნაკრები დაკომპლექტებული უნდა ყოფილიყო ერთი რომელიმე გუნდის, ვთქვათ „სპარტაკის" ბაზაზე და ამ გუნდში სუსტი რგოლების განმტკიცების მიზნით შემადგენლობისთვის მხოლოდ რამდენიმე სხვა ძლიერი ფეხბურთელი დაემატებინათ.

ასეთ საფუძველზე შექმნილი ნაკრები ჩვენს პირობებში უპირატესობას მიიღებდა უკვე გამომუშავებული თამაშის მთლიანობით და შეთანხმებული ურთიერთმოქმედებით, კოლექტივის მონოლითურობით, მეგობრული სულისკვეთებით, ნებისყოფით. რატომ ამჯობინეს გუნდის „ვარსკვლავების შერჩევის" პრინციპით დაკომპლექტება, როცა ეს ვარსკვლავები არ გვყავს? უცნაურია. მით უმეტეს, რომ თავად კაჩალინი დამხმარე სახელმძღვანელოში „ფეხბურთი" წერს: „უმჯობესად უნდა ჩაითვალოს ნაკრების ერთი გუნდის ბაზაზე დაკომპლექტების პრინციპი". როცა საქმე საქმეზე მიდგა, კაჩალინს ეს აზრი არ დაუცავს. დაშვებულია უპატიებელი შეცდომა.

2. ცუდი მომზადება. ეს თავისთავად ცხადია, რადგან გუნდმა აჩვენა სუსტი, არასტაბილური თამაში და ვერ შეეგუა მექსიკის პირობებს. უფრო მნიშვნელოვანია, რატომ აღმოჩნდნენ ფეხბურთელები ცუდად მომზადებული. მიზეზი მზადების არასწორ მეთოდებში უნდა ვეძიოთ. დაპირება კვლავ შეუსრულებელი დარჩა. მწვრთნელებს თუ ვერწმუნებით, სიტყვით ისინი ძირითადად მომხრე არიან, რომ ნაკრების წევრები თავიანთ კლუბებში, ქვეყნის ჩემპიონატში მოემზადოთ. საქმით? ისინი ძალიან ადრე და დიდი ხნით სწყვეტდნენ თავიანთ გუნდებს ფეხბურთელებს, რომლებიც ის-ის იყო შედიოდნენ ფორმაში საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში. რისთვის? ყბადაღებული აკლიმატიზაციისთვის, რომელიც მათ დაიწყეს ბულგარეთში „ბელმექხის" მაღალმთიან ბაზაში. აკლიმატიზაციაც ასეთი უნდა: ფეხბურთელები დიდ სიმაღლეზე ცხოვრობდნენ, სათამაშოდ კი ბარად, სოფიაში, ბორდოში, ბერნში დადიოდნენ. ამასთან, ბოლო ორ შემთხვევაში მათ მეტისმეტად სუსტი სპარინგ-პარტნიორები ჰყავდათ. ნუთუ მწვრთნელებისა და ფეხბურთის მესვეურებისთვის ნათელი არ იყო ამ „აკლიმატიზაციის" ზედმეტობა?

10 მაისს დაიწყო გუნდის ბოლო მოგზაურობა ოკეანეს გაღმა. რა მოგვცა ამ მოგზაურობამ აკლიმატიზაციის თვალსაზრისით, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, მექსიკაში საბჭოთა ფეხბურთელები ამ მხრივ არ ბრწყინავდნენ, თუმცა მათ ყველაზე დიდი დრო ჰქონდათ საამისოდ. აი, გფრ-ის ფეხბურთელები კი შინ მოემზადნენ და მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე მხოლოდ ორი კვირით ადრე ჩავიდნენ მექსიკაში. მიუხედავად ამისა, ჩვენი ფეხბურთელებისგან განსხვავებით, მათ შესანიშნავად ითამაშეს.

ძნელია მარტოოდენ საქმიანი მოსაზრებებით აიხსნას ჩვენი ნაკრების უცნაური გატაცება გუნდის ხანგრძლივი საზღვარგარეთული ტურნეებით და მოგზაურობით, როცა ნაკრების მზადების ეს გზა ბევრჯერ დაგმეს. მათი მიბაძვით თავისი თავის „პატივისმცემელმა" საკლუბო გუნდების მწვრთნელებმაც დაიწყეს ფეხბურთელთა მზადება სხვა ქვეყნების ბაზებზე, თუ საერთოდ მოგზაურობაში არა. არადა, კარგად ცნობილია, რომ ეს მზადება გზაში, ცხრა მთას იქით, უცხო ბაზებზე, გამანადგურებელ გავლენას ახდენს საწვრთნელი მეცადინეობების მოცულობასა და ხარისხზე, ფეხბურთელთა დასვენებაზე და მათს საერთო განწყობილებაზე. სამაგიეროდ კი რას იძლევა? ამბობენ, გამოცდილებას და ზედმეტი მღელვარების წინააღმდეგ იმუნიტეტსო. მაგრამ, თვით [illegible] ბის აღიარებით, საბჭოთა ფეხბურთელებს მექსიკაში, სამწუხაროდ, სწორედ ეს გამოცდილება და სიმშვიდე აკლდათ. მაშ, რისთვის შეიწუხეს თავი?

ეს კიდევ არაფერი. როგორც ჩანს, ჩვენს მწვრთნელებს აშკარად მექანიკურად ესმოდათ წვრთნის გავლენა სხეულის ადაპტირებაზე. მათ ალბათ გადაწყვიტეს, რომ შეძლებდნენ სწრაფად მიეჩვიათ ფეხბურთელები შუადღის სიცხეში თამაშისთვის, როცა მეხიკოში საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარება უეცრად 12-დან 2 საათამდე დაიწყეს. შეჯიბრების წინ და მსვლელობისას უკვე გვიან იყო ამის შეჩვევა. აქ საჭირო იყო არა მოთამაშეთა ზედმეტი დაქანცვა იმ პაპანაქებაში, არამედ მათი რაც შეიძლება უკეთ დასვენება დიდი ასპარეზობისთვის. თუმცა, ამის შესახებ კარგად წერდა „კომსომოლსკაია პრავდაში" ჩემპიონატის მონაწილე ვ. სერებრიანიკოვი. ჩვენს მწვრთნელებს მოლა ნასრედინივით დაემართათ, თავისი სახედარი ჭამას რომ გადააჩვია. საწყალმა სახედარმა მერვე დღეს ფეხები გაჭიმა, მოლა კი წუხდა: რაღა მაშინ მოკვდა, როცა უკვე გადაეჩვია ჭამასო.

3. ჩამორჩენილი ტაქტიკა. ჩვენი ძლიერი მხარე მუდამ თამაშის კოლექტიური ორგანიზაცია იყო, მეხიკოში კი საბჭოთა გუნდმა ნამდვილი ინდივიდუალური ფეხბურთი ითამაშა. დაცვაში ყველა ერთ რომელიმეს მეურვეობდა. ამ ერთი კაცის კუდში სირბილში უქმად იხარჯებოდა ენერგია, წყდებოდა უკვე დადგენილი კავშირი და შემოქმედებითი თამაშის საშუალება აღარ რჩებოდა. თქვენ გახსოვთ, ურუგვაის გუნდთან მატჩში ჩვენი მარცხენა მცველი აფონინი ხშირად მარჯვენა ფლანგზე აღმოჩნდებოდა ხოლმე, მარჯვენა მცველი ძოძუაშვილი კი მარცხენაზე. ერთხელვე დადგენილი წყობრივი აირია, კავშირი დაირღვა, რაც მთავარია, პერსონალური დაცვის პრინციპმა არ ივარგა უმაღლესი კლასის ოსტატებთან ბრძოლაში. აფონინმა კაპლიჩნისთან ერთადაც კი ვერ გაართვა თავი კუბილაისს და ამ უკანასკნელმა ბოლოს და ბოლოს მაინც გაიტანა თავისი. თავდასხმაში ევრიუჟიხინიც, ბიშოვეციც, ხმელნიცკიც თამაშის სადავეებს თავ-თავისკენ ეწეოდნენ. ყოველ მათგანს მხოლოდ ის სურდა, რომ იერიში თავად დაემთავრებინა და არა სხვას დახმარებოდა ამავე მიზნის მიღწევაში. ყველა ცალ-ცალკე თამაშობდა. ეს თავისებური ეგოცენტრიზმი კიდევ შეიძლებოდა რაღაცით ახსნილიყო ბრაზილიელთა თამაშში, რომლებიც ინდივიდუალური ოსტატობით ბრწყინავდნენ, მაგრამ ჩვენები, მოგეხსენებათ, ამ მხრივ არ გამოირჩეოდნენ და ამიტომ გარჯაც ფუჭი გამოდგა. ასეა თუ ისე, ჩვენი ნაკრები ოხაკოვისა და ყირიმის დაპყრობის ეპოქის იარაღებით იბრძოდა. ვისი ბრალია ეს?

4. ლაფსუსები შეჯიბრების მსვლელობაში. უბედურება მარტო ის როდია, რომ ბოლო მომენტში მწვრთნელები შედრკნენ, უკან დაიხიეს და ხუთი მცველი დააყენეს. კიდევ უარესი ის იყო, რომ გუნდისთვის ასე თამაში უჩვეულო გახლდათ. ფეხბურთელები დააბნია უცხო ტაქტიკამ. ურუგვაელებთან მატჩში ჩვენი გუნდის ბევრმა წევრმა, უბრალოდ, არ იცოდა, რა ეკეთებინა.

ახლა ფეხბურთელთა შეცვლა? გუნდის ხელმძღვანელები უდროო დროს ცვლიდნენ მოთამაშეებს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მათს დაბნეულობას. გულახდილად რომ ვთქვათ, მწვრთნელებს კულტად არ უნდა ექციათ ზოგიერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუმსახურებიათ ასეთი პატივი. მათ სთხოვდნენ რჩევას, მათ ეთათბირებოდნენ, მათ, ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებს, და არა, ვთქვათ, იაშინს.

5. მორალური დეპრესია. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვების ვირუსი გუნდში პირველად ხელმძღვანელებმა შეიტანეს. თუ მეთაური შედრკა, აჩქარდა, დაიბნა, იერიში აუცილებლად ჩაიშლება. ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობამაც ის მოიმკო, რაც დათესა. ეს ნათელია. მაგრამ ზემოხსენებულ დეპრესიას კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. ამ მიზეზის შესახებ ძალიან კარგად წერდა „სოვეტსკი სპორტში" მწერალი ა. კიკნაძე. ფეხბურთელები ცოცხალი ადამიანები არიან. ისინი კი ბერებივით ჩაკეტეს მონასტერში, საინტერესო დასვენების, გართობის საშუალება არ მისცეს. გუნდის წევრები დაძაბულად ფიქრობდნენ მარტო ფეხბურთზე, გონებაში გამუდმებით ფეხბურთს თამაშობდნენ. ამ დაუსრულებელმა, თავმომაბეზრებელმა ბრძოლამ მათ უკვე მინდორზე გამოსვლამდე გაუწყვიტა ქანცი.

ვ. მდივანი.







ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ბრაზილიელებთან მატჩში პელეს უვნებელყოფა იყო. ფეხბურთის მეფეს ჰყავდა ერთი პერსონალური მეურვე, რომელსაც მორიგეობით ეხმარებოდნენ დაცვითი ხაზის თავისუფალი წევრები. ასე რომ, პელე მუდამ „მხიარულ კომპანიაში" იყო და, ცხადია, ზოგჯერ გაძლიერებული ყურადღების მსხვერპლიც ხდებოდა.

პელეს წინააღმდეგ ბრძოლა წმინდა საფეხბურთო წესებით ძნელია. ზოგიერთის აზრით კი საერთოდ შეუძლებელია მისი მთლიანი უვნებელყოფა, აი, სწორედ ეს არის მიზეზი იმ დაუნდობელი „ნადირობისა", რომელიც 1958 წლის შემდეგ პელეს მიმართაა გამოცხადებული.

... ერთი წამის წინ პელემ მიიღო პარტნიორისგან ზუსტი გადაცემა. და აი, მაშინვე ჩაერია საქმეში ჩეხოსლოვაკიელი მიგასი (№ 8), რომელმაც გადაუღობა გზა ბურთს და პელესაც წონასწორობა დააკარგვინა. მარჯვნივ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან ტოსტაო და კუნა (№ 9). პელე დაეცა — შეტევა შეწყდა, მაგრამ ცნობილი ფეხბურთელი წაქცეულიც კი ცდილობს არ დაკარგოს ბურთი და მეტოქეს კონტრშეტევის საშუალება წაართვას.

სსრ კავშირის პირველობა




# კოკისპირულ წვიმაში

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 30 ოქტომბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:4 (0:2).

„ტორპედო": გოგია, ჩიტაური, წვერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი (აბზიანიძე), ერქომაიშვილი, ანფიმიადი, ვეკუა, ხერხაძე (ალადაშვილი), ქიქავა.

„ფახთაქორი": ლიუბარცევი, დოცენკო (კუზნეცოვი), შტერნი, ტურგუნოვი, პეტუხოვი, იუნუსოვი, სოლოხო, ისაკოვი (როდიონოვი), აბდურაიმოვი, ვარიუხინი, ციბინი.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:1.

ძნელია ამინდს, რომელიც ამ მატჩს დაესწრო, მიახლოებით მაინც უწოდო საფეხბურთო. კოკისპირული, გადაუღებელი წვიმის შემდეგ სათამაშო მინდორზე მუხლამდე წყალი იდგა და მოთამაშეებს რბენა კი არა, სიარული უჭირდათ. ბურთის დამუშავებაზე, ტექნიკური ელემენტების ხეირიანად შესრულებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეს გარემოება უპირველესად ყოვლისა ტორპედოელებს უშლიდა ხელს, რომლებიც ტექნიკით გაცილებით სჯობიან ტაშკენტელებს.

ძნელია მიახლოებით მაინც უწოდო ი. ბოჩაროვის უთავბოლო, უმართებლო და არაობიექტურ მოქმედებას მსაჯობა. იგი სისტემატურად უშვებდა უხეშ შეცდომებს და, რატომღაც, ყოველთვის „ტორპედოს" საწინააღმდეგოდ. მაგალითად, მე-13 წუთზე „ფახთაქორის" ცენტრალური თავდამსხმელი აბდურაიმოვი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც მაშინვე აღნიშნა გვერდითმა მსაჯმა. ი. ბოჩაროვს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია და როცა აბდურაიმოვმა ბურთი გაიტანა, ჩათვალა იგი — 1:0.

37-ე წუთზე აბდურაიმოვმა შორი მანძილიდან დაარტყა, ბურთი მოხვდა ძელს, დაუბრუნდა იქვე მყოფ ისაკოვს და ანგარიში გახდა 2:0.

განახლდა თუ არა თამაში, ალადაშვილმა შეძლო 1 საპასუხო ბურთის გატანა — 1:2. ეს მოხდა 48-ე წუთზე, ხოლო მცირე ხანს შემდეგ იგივე ალადაშვილი ორმა მცველმა ხელით დაიჭირა კარის სიახლოვეს. ი. ბოჩაროვმა ამას ყურადღება არ მიაქცია.

ქუთაისელები განაგრძობდნენ იერიშებს, მაგრამ ვერ ამთავრებდნენ მათ, სამაგიეროდ, „ფახთაქორმა" 85-ე წუთზე კარგად გამოიყენა თავისი კონტრიერიში, რაც აბდურაიმოვმა მესამე გოლით დაამთავრა.

მატჩის დამთავრებას 3 წუთი აკლდა და გამარჯვებულის საკითხი არსებითად უკვე გადაწყვეტილი იყო. „ტორპედოს" კართან შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში ი. ბოჩაროვმა 11 მეტრიანი სასჯელის უმაღლესი ზომა — პენალტი. მასპინძლები კარგა ხანს ედავნენ მსაჯს. ი. ბოჩაროვმა ამისთვის მინდვრიდან გააძევა მეკარე გოგია და ვინაიდან მანამდე 2 მოთამაშე უკვე შეცვლილი იყო, ტორპედოელებს მეკარის ნაცვლად კარში მოუხდათ მინდვრის მოთამაშის ჩაყენება. ეს იყო წვერავა. აბდურაიმოვის დარტყმა ამჯერადაც ზუსტი იყო — 4:1.

შ. ნიჟარაძე,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 31 | 18 | 7 | 6 | 48—21 | 43 |
| ცსკა | 29 | 17 | 5 | 7 | 42—17 | 39 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 31 | 12 | 14 | 5 | 43—24 | 38 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 31 | 10 | 14 | 7 | 27—24 | 34 |
| „დინამო" (კიევი) | 31 | 14 | 5 | 12 | 34—29 | 33 |
| „დინამო" (თბილისი) | 29 | 12 | 8 | 9 | 40—28 | 32 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 30 | 11 | 10 | 9 | 31—32 | 32 |
| სკა (დონის როსტოვი) | 31 | 8 | 15 | 8 | 27—29 | 31 |
| „დინამო" (მინსკი) | 31 | 10 | 10 | 11 | 31—28 | 30 |
| „არარატი" (ერევანი) | 30 | 10 | 8 | 12 | 29—31 | 28 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 31 | 10 | 8 | 13 | 31—48 | 28 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 31 | 8 | 12 | 11 | 27—44 | 28 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 30 | 8 | 11 | 11 | 23—25 | 27 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 31 | 10 | 7 | 14 | 30—39 | 27 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 31 | 8 | 9 | 14 | 24—37 | 25 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 31 | 6 | 11 | 14 | 23—38 | 23 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 31 | 7 | 8 | 16 | 30—46 | 22 |

## ფაქტები, ციფრები, კომენტარი

მოახლოვდა საკავშირო ჩემპიონატის ფინიში. სულ თითოოროლა მატჩი და XXXII პირველობის ცხრილი საბოლოოდ „დაიხურება".

30 ოქტომბრის შეხვედრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ცხრილის ქვედა ნახევარში, უფრო სწორად — ბოლო ადგილებზე მყოფი გუნდებისთვის. 28 ქულა აქ იქცა იმ მინიმუმად, რომელიც უმაღლეს ჯგუფში დარჩენის აბსოლუტურ გარანტიას იძლევა.

ამ 28-ე ქულისთვის იბრძოლა საკუთარ მინდორზე „არარატმა". მისი მოწინააღმდეგე იყო „ნეფთჩი". ერევნელებმა წარმატებით შეასრულეს მათ წინაშე მდგარი ამოცანა და არა მარტო საგარანტიო 2 ქულა შეიძინეს, არამედ რევანშიც აიღეს I წრეში განცდილი სასტიკი დამარცხებისთვის და ზუსტად იმავე ანგარიშით — 3:0. პირველი ბურთი გაიტანა ზანაზანიანმა, მეორე — კაზანჩიანმა და მესამე, უკვე მატჩის დასასრულს, — ბონდარენკომ.

მსაჯი იძულებული გახდა მინდვრიდან გაეძევებინა ორივე გუნდის თითო მოთამაშე. ესენი იყვნენ ერევნელი კაზანჩიანი და ბაქოელი გაჯიევი.

უკანასკნელ შანსს ებლაუჭება „ჩერნომორეცი". ოდესელებმა შინ მიიღეს მოსკოვის „სპარტაკი", თავგამოდებით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი ბურთი 84-ე წუთზე გაიტანა პორკუიანმა.

გამარჯვება მოიპოვა ორჯონიკიძის „სპარტაკმაც", თუმცა „შახტიორთან" აღებულ ამ 2 ქულას მისთვის მხოლოდ საპრესტიჟო მნიშვნელობა ჰქონდა. დონეცკელებმა თავიანთი მთავარი ამოცანა შეასრულეს 26 ოქტომბერს, როცა მოსკოვის „სპარტაკთან" აიღეს მხსნელი 28-ე ქულა და, ბუნებრივია, ახლა აღარ დგანან მწვავე პრობლემების წინაშე. ორჯონიკიძელებმა „შახტიორი" დაამარცხეს ანგარიშით 1:0. გოლის ავტორია პაპელიშვილი.

გუშინ მოსკოვის „დინამომ", რომელსაც ამ დღისთვის, როგორც მინიმუმი, უკვე გარანტირებული ჰქონდა ვერცხლის მედლები, თავის მინდორზე მიიღო როსტოვის არმიელთა გუნდი და დაამარცხა იგი — 3:1. დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს ავრუცკიმ, უტკინმა და ეშტრეკოვმა, არმიელებიდან — ზინჩენკომ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ზენიტისთვის" გუშინდელ თამაშს საკუთარ სტადიონზე მინსკის „დინამოსთან". გაიმარჯვა „ზენიტმა" — 2:0 (უნანოვი, ბურჩალკინი).

# გაირკვევა დამატებით მატჩში

მოსკოვი, 31 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). როგორც მოსალოდნელი იყო, წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო დღემ ჩემპიონი ვერ გამოავლინა.

გუშინ ცსკა-ს აუზში ჩემპიონატის ლიდერებმა — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბისა და მოსკოვის „დინამოს" წყალბურთელებმა „დაგეგმილი" ორი ქულა ჩაიწერეს და ჩემპიონატი 32 ქულით დაამთავრეს. მართალია, მეზღვაურებს გაუჭირდათ სტუდენტებთან მოგება (3:2), სამაგიეროდ დინამოელთა უპირატესობა „ბალტიკის" სპორტსმენებზე აშკარა გახლდათ — 6:2. დღეს გაიმართება დამატებითი მატჩი მეზღვაურებსა და დინამოელებს შორის, რის შემდეგ გაირკვევა 1970 წლის ჩემპიონის ოქროს მედლების მფლობელი.

ალმა-ათის „დინამომ" დაამარცხა კიეველი თანაკლუბელები — 3:2, ხოლო კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის წყალბურთელებმა დიდი ანგარიშით — 11:3 სძლიეს მოსკოვის ოლქის „ლოკომოტივს".

თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" მატჩი დაძაბული და საინტერესო ბრძოლის შემდეგ ფრედ — 6:6 დამთავრდა.

## გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) | 18 | 15 | 2 | 1 | 94—51 | 32 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 18 | 15 | 2 | 1 | 82—47 | 32 |
| უნივერსიტეტი (მოსკოვი) | 18 | 10 | 5 | 3 | 88—66 | 25 |
| „დინამო" (კიევი) | 18 | 4 | 8 | 6 | 67—70 | 16 |
| „დინამო" (თბილისი) | 18 | 5 | 6 | 7 | 79—84 | 16 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 18 | 5 | 6 | 7 | 78—83 | 16 |
| „დინამო" (ალმა-ათა) | 18 | 7 | 1 | 10 | 83—86 | 15 |
| „ბალტიკა" (ლენინგრადი) | 18 | 6 | 2 | 10 | 79—80 | 14 |
| კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) | 18 | 4 | 5 | 9 | 86—93 | 13 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვის ოლქი) | 18 | 0 | 1 | 17 | 42—118 | 1 |

# პირველიდან მეოთხემდე

აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატთა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში გაიმართება. ახლა ამ საპასუხისმგებლო რეგატისთვის ემზადებიან და მას მიუნხენის ოლიმპიადისთვის ყველაზე დიდ რეპეტიციად თვლიან ყველა ქვეყანაში, სადაც სპორტის ეს სახეობა პოპულარულია. რას ჰპირდება სტარტები სსრ კავშირის ნიჩბოსნებს, როგორა აქვთ საქმე საერთაშორისო სარბიელზე?

საბჭოთა სპორტსმენებს წლეულს განსაკუთრებით გაუჭირდებათ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა, ვინაიდან გუნდში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს. ბრწყინვალე „ძველი გვარდიის" ბევრი წარმომადგენელი სპორტიდან წავიდა, მათი ღირსეული შემცვლელნი კი ჯერჯერობით არ ჩანან.

მაინც რომელ საბჭოთა ეკიპაჟებს აქვთ კანადაში წარმატების რეალური შანსი?

ამ ორი წლის წინ საკავშირო შეჯიბრებებში კარგად გამოვიდნენ ახალგაზრდა ლენინგრადელები გ. ეშინოვი და ნ. ივანოვი. მათ აკადემიურ ნიჩბოსნობაში ყველაზე ნელი — მესაჭიანი ორადგილიანი გასაშლელი ნავი ირჩიეს. ჩვეულებრივ ამ ნავით აღიარებული ნიჩბოსნები ასპარეზობენ, ვინაიდან იგი განსაკუთრებით მოითხოვს ვაჟკაცურ თვისებებს — ამტანობას, მოთმინებას, ტექნიკურ ხელოვნებას. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ლენინგრადელთა დუეტმა სტაბილურ მაჩვენებლებს ერთბაშად ვერ მიაღწია. მაგრამ 21 წლის ეშინოვი და ივანოვი ამ სეზონში კარგად გამოდიოდნენ. საკმარისია ითქვას, რომ ამას წინათ დამთავრებულ მოსკოვის დიდ რეგატაში მათ ნავის კორპუსით მოუგეს ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებს, რუმინელებს გ. მოლდოვანუსა და პ. ჩეამურას და I ადგილი დაიკავეს. ამიტომ ნაკრების ხელმძღვანელობა ლენინგრადელებზე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს.

რთული მდგომარეობაა უმესაჭო ოთხიანების კლასში. შარშან ამ ნავებით ევროპის პირველობა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის ნიჩბოსნებმა (მომსმელი ბ. ალიოშინი) მოიგეს.

დრეზდენის ცნობილი კლუბის „აინჰაიტის" ცნობილი ეკიპაჟი მომსმელ ფ. ფორბერგის წინამძღოლობით ამ შეჯიბრებაში გდრ-ის რვაადგილიანის შემადგენლობაში გამოდიოდა და ოქროს მედლებიც მოიპოვა. და აი, დრეზდენელმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მოსკოვის რეგატაში ისევ თავიანთ ამპლუაში სცადეს ძალა. მაგრამ ისინი მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდნენ არა ევროპის ჩემპიონებთან ბრძოლაში, არამედ მოსკოვის „ვოდნიკის" ეკიპაჟთან (მომსმელი ა. ნემტირიოვი) ჭიდილში. მოსკოველები გდრ-ის ნიჩბოსნებს მხოლოდ ნავის ნახევარი კორპუსით ჩამორჩნენ. მასპინძლებმა ეს შედეგი საპატიოდ უნდა ჩათვალონ, ვინაიდან დრეზდენის კვარტეტი, ჩვეულებრივ, დიდ საერთაშორისო რეგატებშიც კი უფრო თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბოლოო სიტყვა არც სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის ნიჩბოსნებს უთქვამთ.

ჩვენი ქვეყნის სხვა გუნდებიდან სადღეისოდ უნდა გამოვყოთ არმიელთა მესაჭიანი ოთხადგილიანი ნავი. ამ ეკიპაჟის ახალგაზრდა წევრები მხოლოდ ერთი წელია ერთად ვარჯიშობენ და უკვე საკმაოდ შესწევთ ბრძოლის უნარი. მოსკოვის რეგატაში მათ დისტანცია კარგ სტილში დაფარეს, სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ყველა ეკიპაჟი დაამარცხეს.

ნავების სხვა კლასებში ჩვენი პერსპექტივები ნაკლებ საიმედოა.

განსაკუთრებით დაინტერესული ვარ ერთადგილიანების ბედით — ეს ხომ ჩემი საყვარელი ნავებია. ლენინგრადელმა ნ. ბადენკოვმა ძალების მოკრება შარშან დაიწყო, როცა მსოფლიოს საუკეთესო მრბოლელების მხარდამხარ იბრძოდა. მაგრამ ახლა იგი ავადაა და საეჭვოა კანადაში გაემგზავროს, ჩვენი დანარჩენი ერთადგილიანები კი, ჩემის აზრით, ცნობილ საზღვარგარეთელ სპორტსმენებს სერიოზულ მეტოქეობას ვერ გაუწევენ. დიდი შანსები არც ორადგილიანი წყვილმოსასმელიანის, უმესაჭო ორადგილიანი გასაშლელისა და რვაადგილიანის ეკიპაჟებს აქვთ. მართალია, ნიჩბოსნები, რომლებიც ამ ნავებით გამოდიან, შედეგებს სწრაფად ზრდიან, მაგრამ კანადაში წასვლამდე ყველა ხარვეზს მაინც ვერ შეავსებენ.

რამდენიმე სიტყვა საზღვარგარეთის ყველაზე ძლიერ გუნდებზე — სსრ კავშირის სპორტსმენთა მთავარ კონკურენტებზე. ყველას მიაჩნია, რომ კანადაში გამარჯვების მთავარი პრეტენდენტი — კვლავ გდრ-ის გუნდი იქნება. ადრე ამ გუნდს ერთადგილიანებით (ნიჩბოსნობიდან ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსნის ი. ჰილის წასვლის შემდეგ) და წყვილმოსასმელიანი ორადგილიანებით შეჯიბრება უჭირდა, ახლა კი ეს ხარვეზიც გამოასწორა. ევროპის შარშანდელ ჩემპიონატში გ. დრეგერმა ერთადგილიანებით ასპარეზობაში II ადგილი დაიკავა, წლეულს კი იგი ნიჩბებს უფრო მარჯვედ ხმარობს და კანადაში გამარჯვების დიდი შანსიც აქვს. წყვილმოსასმელიან ორადგილიანებში ძალიან საინტერესოა ჰ. შმიდტისა და ი. ბუმერის დუეტი. ეს ნიჩბოსნები დიდი სიმაღლითა და ძლიერი აგებულებით როდი გამოირჩევიან, მათი მთავარი კოზირი ბრწყინვალე, თითქმის იდეალური ტექნიკაა.

ძველი სამყაროს სხვა „ნიჩბოსნობის სახელმწიფოებიდან" გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის ბრძოლა ჰოლანდიელებს შეუძლიათ. მათგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ერთადგილიანებით შეჯიბრებაში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი ვინეზე. ამას გარდა, ცალკეულ სახეობებში შესანიშნავი გუნდები ჰყავთ გფრ-ს, უნგრეთს, იტალიას, დანიას. კანადაში აუცილებლად ძლიერ გუნდს წაიყვანენ ამერიკის შეერთებული შტატების მწვრთნელები. შარშან ევროპის ღია ჩემპიონატში მათ რამდენიმე ეკიპაჟი გამოგზავნეს და, უნდა ვაღიაროთ, რომ „ბრძოლით დაზვერვა" წარმატებით ჩატარდა. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკელთა წყვილმოსასმელიანმა ორადგილიანმა, რომელმაც პირველობა დიდი უპირატესობით მოიგო.

ახალზელანდიელ ნიჩბოსნებს მეხიკოს ოლიმპიადის წინ ჯილდოების პრეტენდენტებად არავინ თვლიდა, მაგრამ მათ მესაჭიანი ოთხადგილიანების პირველივე გაცურვაში ოქრო მოიპოვეს. რვაადგილიანის ეკიპაჟიც შესანიშნავი ჰყავდათ და ოქროს მედლის მოგებაც შეეძლოთ, მათს მესაჭეს ტაქტიკური შეცდომა რომ არ დაეშვა. ახალზელანდიელები ოლიმპიადის შემდეგ ისევ გაქრნენ მხედველობის არედან, მაგრამ ვინ იქნება თავდები, რომ ამ ქვეყნის ნიჩბოსნები მსოფლიო ჩემპიონატში ახალ სიურპრიზებს არ შემოგვთავაზებენ?

კარგი შანსები აქვთ თვით მასპინძლებსაც, რომელთა ქვეყანაშიც აკადემიური ნიჩბოსნობა მეტად პოპულარულია.

როგორც ხედავთ, საპრიზო ადგილებს ბევრი პრეტენდენტი უმიზნებს. ვის გაუღიმებს ბედი, ამას კანადიდან მოსული ცნობებით შევიტყობთ.

ვ. ივანოვი,
სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანებით, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ: ფეხბურთში — კ. ყრუაშვილს, რ. მამაჯანოვს (ორივე — თბილისის „განთიადი").

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04473